ოქმი:**ო37.37211661**

თარიღი:**15/06/2021**

ოქმი #13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2021წელი, 11 ივნისი

ქ. ოზურგეთი

12^{00} – საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:
გ.ღურჯუმელიძე, გ. ჩაგანავა, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე, ლ.ბიგვავა, ტ.აროშიძე, ლ.საჯაია, დ.ჭაკნელიძე, ლ.მგელაძე.

.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - სოფელ ოზურგეთში სასმელი წყლისა და შიდა გზების მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის განხილვის შედეგების განხილვის შედეგების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით, ამ საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო ბიუროს სხდომამდე.

2. 2021-2023 წლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.საჯაია).

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.საჯაია).

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(გ.კილაძე).

საკითხის განხილვისას გამოითქვა აზრი პროექტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით-განკარგულების სათაურში, პირველ მუხლსა და ნუსხის სათაურში ჩაწერილიყო სიტყვა“უძრავ-მოძრავი“ „უძრავის“ ნაცვლად.

დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ დააყენა წინადადება, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესულიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ღია მმართველობა საქართველოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში, რასაც ბიუროს წვრები დაეთანხმნენ.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N 2, 3, 4 საკითხები განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიებს (ლ.საჯაია, გ.კილაძე),

2. N1 საკითხის განხილვა გადაიდოს ბიუროს მომდევნო სხდომისათვის.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ღია მმართველობა საქართველოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში -შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი